

ა(ა)იპ მესმა-კულტურის განვითარების ფონდის
გამჭირვალობის წლიური ანგარიში
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცების შესახებ.	3
დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში	4
I. ზოგადი მიმოხილვა	7
II. ფინანსური ანგარიშგება	9
II.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
II.2. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
II.3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება.	10
II.4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
III. სამართლებრივი და მმართველობითი სტრუქტურა	22
IV. ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება	23
V. ფინანსური ხარჯები.	23

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის მომზადებაზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 66¹¹ მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. ასევე ფინანსური ანგარიშგების, როგორც გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის კომპონენტის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ მესმა-კულტურის განვითარების ფონდის (შემდგომში - „ფონდი“) ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ინფორმაციის მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ფონდის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ფონდის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვების პრინციპის საფუძველზე ფონდის ფუნქციონირებადობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ფონდში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ფონდის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფონდის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს სტანდარტების მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;
- ფონდის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე;
- გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში კანონით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად და სწორად წარდგენაზე.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი გამჭვირვალობის წლიური ანგარიში ფონდის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 23 ივლისს.

ნინო ჯაფარიძე
აღმასრულებელი დირექტორი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მესმა-კულტურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელებს

განსახილველი საგანის აღწერა

წინამდებარე მარწმუნებელი ანგარიშის განსახილველი საგანია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომში - ა(ა)იპ) მესმა-კულტურის განვითარების ფონდის (ს/ნ404772411; შემდგომში - პასუხისმგებელი მხარე) მიერ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად მომზადებული 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საფინანსო წლის გამჭვირვალობის წლიური ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი წარმოადგენს ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის“ მიერ კონკრეტული მიზნობრივობით შექმნილ ფონდს. შესაბამისად, კანონის მიხედვით იგი ვალდებულია საფინანსო წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს საფინანსო წლის დასრულებიდან 8 თვის ვადაში, მოამზადოს და საკუთარ ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს გამჭვირვალობის ყოველწლიური ანგარიში.

პასუხისმგებელი მხარე აცხადებს, რომ 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საფინანსო წლის გამჭვირვალობის წლიური ანგარიში სათანადოდ არის მომზადებულია კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

შესაფერისი კრიტერიუმები

გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის გასაზომად გამოსაყენებელი კრიტერიუმები განსაზღვრულია კანონის ¹¹ 66 მუხლით. პასუხისმგებელი მხარის საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით შესაფერისი კრიტერიუმად მიიწეულია გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:

1. ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ბალანსს ან აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებას, ფინანსური წლის განმავლობაში შემოსავლებისა და ხარჯების წლიურ ანგარიშს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
2. პასუხისმგებელი მხარის სამართლებრივი სტრუქტურისა და მმართველობითი სტრუქტურის აღწერა;
3. ინფორმაცია პასუხისმგებელი მხარის თავმჯდომარის, გამგეობის, კომისიებისა და საბჭოების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების მთლიანი ოდენობის და მათთვის მინიჭებული სხვა სარგებლის შესახებ;
4. ინფორმაცია ნებისმიერი ფინანსური ხარჯების, მათ შორის, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო მომსახურებებზე გაწეული ხარჯების შესახებ;

სპეციფიკური მიზანი და მარწმუნებელი ანგარიშის გავრცელების შეზღუდვა

მარწმუნებელი ანგარიში გამოიწვევს მხოლოდ სპეციფიკური მომხმარებლებისათვის, ვისთვისაც ხელმისაწვდომია განსახილველი საგნის ინფორმაციის აღწერაში ნახსენები კანონის შინაარსი. შესაფერისი კრიტერიუმები გამოყენებულია მხოლოდ კონკრეტული განსახილველი საგნის შესაფასებლად. შესაბამისად, განსახილველი საგნის ინფორმაცია და მარწმუნებელი ანგარიში შეიძლება არ გამოდგეს სხვა მიზნებისათვის. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

პასუხისმგებელი მხარე და მისი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

პასუხისმგებელი მხარეს წარმოადგენს ა(ა)იპ „მესმა-კულტურის განვითარების ფონდი“ (ს/ნ404772411). მისი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შესაბამისი განსახილველი საგნის შესახებ ჩვენთვის წარმოდგენილ ინფორმაციაზე, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს საეჭვო ან სავარაუდო წინასწარგანზრახული ქმედებით, კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეასრულა თუ არა პასუხისმგებელმა მხარემ კანონით განსაზღვრული ვალდებულება განსახილველი საგნის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმის გათვალისწინებით; შევადგინოთ შესაბამისი განსახილველი საგანი და შევადგინოთ დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გამოყენებული სტანდარტი

გარიგება ჩავატარეთ გადასინჯული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი (მასს) 3000 -ის „მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა“ შესაბამისად.

ხარისხის მართვა

ჩვენი აუდიტორული ფირმა იყენებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტ 1-ს, რომელიც ფირმას ავალდებულებს ხარისხის მართვის სისტემის შექმნას, დანერგვასა და ფუნქციონირებას, მათ შორის, ისეთი პოლიტიკის ან პროცედურების, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტების და სათანადო საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფას.

დამოუკიდებლობა და სხვა ეთიკური მოთხოვნები

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით [„ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები)“] განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

შესრულებული სამუშაოს რეზიუმე

დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით:

1. სათანადოდ დავგეგმეთ გარიგება. განვსაზღვრეთ გარიგების ფარგლები, ჩატარების ვადები და საერთო მიმართულებები;
2. განვსაზღვრეთ გარიგების გარემოებებისათვის შესაფერისი კრიტერიუმი;
3. გამოვკითხეთ განსახილველი საგნის ინფორმაციაზე პასუხისმგებელ მხარეს გააჩნდა თუ არა ინფორმაცია რაიმე ფაქტობრივი, საეჭვო ან სავარაუდო წინასწარგანზრახული უზუსტობის ან კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ, რაც გავლენას მოახდენდა განსახილველი საგნის ინფორმაციაზე;

4. მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები განსახილველი საგნის შესახებ. მ.შ. ჩავატარეთ გამჭვირვალობის წლიურ ანგარიში ჩართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცედურები;
5. შევაფასეთ მტკიცებულებად გამოიყენებული ინფორმაციის შესაფერისობა და საიმედოობა;
6. მოვიპოვეთ ოფიციალური წერილი განსახილველი საგნის ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირისაგან გარიგებისათვის შესაფერისი ინფორმაციის სრულად მოწოდების შესახებ.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავადგინეთ, რომ:

1. ფინანსური ანგარიშგება
 - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, გამოიყენონ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები;
 - პასუხისმგებელმა მხარემ, ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საფინანსო წლის ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, რაც არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს;
 - გამჭვირვალობის წლიურ ანგარიში ჩართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს პასუხისმგებელი მხარის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
2. პასუხისმგებელი მხარის სამართლებრივი სტრუქტურა და მმართველობითი სტრუქტურა აღწერილია სრულად;
3. პასუხისმგებელი მხარის თავმჯდომარის, გამგეობის, კომისიებისა და საბჭოების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების მთლიანი ოდენობის და მათთვის მინიჭებული სხვა სარგებლის შესახებ ინფორმაცია სწორად და სრულადაა ასახული გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში;
4. ინფორმაცია ფინანსური ხარჯების შესახებ სტრუქტურიზებულია პასუხისმგებელი მხარის მიერ გაწეული ხარჯების ბუნების შესაბამისად და სწორად ასახავს ფინანსური ხარჯების მოცულობას;
5. 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საფინანსო წლისთვის მომზადებული გამჭვირვალობის წლიური ანგარიში შეიცავს პასუხისმგებელი მხარის საქმიანობისათვის რელევანტურ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

დასკვნა

ჩვენი აზრით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მესმა-კულტურის განვითარების ფონდის“ (ს/ნ 404772411) ხელმძღვანელობის მტკიცება იმის შესახებ, რომ 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საფინანსო წლის გამჭვირვალობის წლიური ანგარიში სათანადოდ არის მომზადებული, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანი განცხადებაა.

აუდიტორი

რევაზ ძამაშია

24 ივლისი 2026 წ.

I. ზოგადი მიმოხილვა

ა(ა)იპ „მესმა-კულტურის განვითარების ფონდი“ (შემდგომში - „ფონდი“) (ს/ნ: 404772411) წარმოადგენს - ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის - „ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის“ (შემდგომში - „ასოციაცია“/„დამფუძნებელი“) (ს/ნ: 404574475) მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელების შემოქმედებითი და სოციალური საჭიროებების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად დაფუძნებულ ფონდს, რომელიც ფუნქციონირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით.

ა(ა)იპ „მესმა-კულტურის განვითარების ფონდი“ დაფუძნდა 2025 წლის 20 მაისს.

ფონდი მხარს უჭერს ხელოვნების განვითარებასა და შემოქმედებას. ახალ თაობას აძლევს განვითარების შესაძლებლობას და ხელს უწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, უზრუნველყოფს სივრცის შექმნას პროფესიული ზრდისა და ინოვაციური იდეების განხორციელებისათვის.

ფონდის საქმიანობა უმეტესწილად ეფუძნება კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემას, თანამედროვე ტენდენციების დანერგვას, განვითარებას და ამასთანავე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

ფონდი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო აქტების, საქართველოს კანონმდებლობისა და ფონდის წესდების შესაბამისად.

2025 წლის განმავლობაში ფონდმა განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა მთავარი მიზანი იყო გამოჩენილი ქართველი ხელოვნების ღვაწლის დაფასება, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა და საერთაშორისო კულტურულ სივრცეში ქართული ხელოვნების წარმოჩენა. ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტის IV განყოფილებაში.

ფონდის საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

- საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა შემოქმედებითი და სოციალური საჭიროებების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების უზრუნველყოფა;
- ხელოვნების სფეროს პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება;
- პროექტების განხილვა და პროექტების განხილვისა და განხორციელების წესის შესაბამისად მათი დაფინანსება;
- ხელოვნების სფეროს და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება და მხარდაჭერა;
- ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერპრეტაცია;
- ახალგაზრდების ნიჭისა და ინოვაციური იდეების აღმოჩენა;
- განათლების, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის მდგრადი განვითარება;
- საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება;
- საზოგადოების კულტურული ცნობიერების ამაღლება;

ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, ფონდი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- კულტურისა და ხელოვნების განვითარება და მხარდაჭერა.
- ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და/ან დაფინანსება;
- დაფინანსების წყაროს მოპოვება;
- ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება.

- ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ემსახურება ფონდის მიზნებს.

ფონდი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით და თავის საქმიანობას წარმართავს კანონიერების, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე, ხოლო მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის „ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის“/„დამფუძნებლის“ წინაშე.

ფონდი, როგორც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილი ორგანიზაცია, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 66¹¹ მუხლის მიხედვით ვალდებულია, ყოველი საფინანსო წლის დასრულებიდან 8 თვის ვადაში, მოამზადოს და საკუთარ ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს გამჭვირვალობის ყოველწლიური ანგარიში. შესაბამისად, ფონდის ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე გამჭვირვალობის წლიური ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფონდისთვის რელევანტური კანონით გათვალისწინებული გამჭვირვალობის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

II. ფინანსური ანგარიშგება

II.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2025
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4	122
არამატერიალური აქტივები	5	1 833
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 955
მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	140
მარაგები		3 420
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	38 945
სხვა მიმდინარე აქტივები		358
სულ მოკლევადიანი აქტივები		42 863
სულ აქტივები		44 818
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	8	168
საგადასახადო ვალდებულებები		1 931
გადავადებული დაფინანსება		42 719
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		44 818
მთლიანი ვალდებულებები		44 818

**II.2. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

ლარი	შენიშვნა	2025 წ.
ხარჯების დაფინანსების შემოსავალი		596 628
საერთო შემოსავლები		596 628
საოპერაციო ხარჯები:		
გამოყენებული მარაგი		(1 175)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(95 466)
პროექტების დაფინანსების ხარჯი	9	(136 565)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(187)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(362 521)
სხვა ხარჯები		(714)
საერთო ხარჯები		(596 628)
საოპერაციო საქმიანობის ფინანსური შედეგი		-
წმინდა შედეგი		-

**II.3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

2025 წელი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მიღებული დაფინანსება და შემოწირულობა	639 346
გადახდილი თანხები მიზნობრივი პროგრამებისთვის	(136 565)
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(367 738)
დასაქმებულთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(93 779)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	41 264
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(142)
არმატერიალური აქტივის შეძენა	(2 000)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 142)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	39 122
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისთვის	-
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(177)
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს (31 დეკემბერი)	38 945

II.4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ა(ა)იპ მესმა-კულტურის განვითარების ფონდი და მისი საქმიანობა

ა(ა)იპ „მესმა-კულტურის განვითარების ფონდი“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის მიერ კონკრეტული მიზნობრივობით შექმნილ ორგანიზაციას. იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულია 2025 წლის 20 მაისს (საიდენტიფიკაციო ნომერი 404772411).

ფონდის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრები არიან გამგეობის წევრები:

გიორგი მარგველაშვილი (თავმჯდომარე), 01030007587

ნიკა დანელია, 01003010196

ნიკოლოზ წულუკიძე, 01030032668

ზვიად ზუბიაშვილი, 01013009483

ქეთევან კვახაძე, 01024005459

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფონდის პირველი არასრული წლის ფინანსურ ანგარიშგებას. ფონდი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

ფონდის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა მისი უშუალო მშობელი ორგანიზაცია - ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია“.

ფონდი საქმიანობას ახორციელებს საჯაროობის პრინციპის საფუძველზე. წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად ფონდი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- კულტურის და ხელოვნების განვითარება და მხარდაჭერა;
- ღონისძიების დაგეგმვა, ორგანიზება და/ან დაფინანსება;
- დაფინანსების წყაროს მოპოვება;
- ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება;
- ფონდი ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. ფონდის იურიდიული მისამართია ნათია ბაშაღიშვილის ქ. #21, თბილისი, 0108, საქართველო.

ფაქტობრივი მისამართი: ფონდის ფაქტობრივი მისამართია დავით აღმაშენებლის გამზირი #139, თბილისი, 0102, საქართველო.

ფონდის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფონდიში დასაქმებული იყო 4

თანამშრომელი, შესაბამისად, 2025 წლის განმავლობაში ფონდში დასაქმებული იყო საშუალოდ 3,4 თანამშრომელი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

ფონდის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს სტანდარტები) შესაბამისად.

ფონდის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს არასრულ კალენდარულ წელს 2025 წლის 19 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რომელიც, საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ფონდის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განხრახვები და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

წარსადგენი ვალუტა

ფონდის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ფონდი ახორციელებს საქმიანობას („წარსადგენი ვალუტა“). ფონდის ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხვები წარდგენილია ლარებში.

ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება და აღიარების შეწყვეტა. ფონდი იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ იგი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო უფლებები იწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და საწყისი შეფასება. გარდა იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს და ფასდება ტრანზაქციის ფასით IFRS 15-ის შესაბამისად, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების დანახარჯების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ფონდი ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და, ამავე დროს, ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. შესაბამისად, ეს ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ფონდი საკრედიტო რისკის შეფასებისა და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გაზომვისას განიხილავს ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრს, მათ შორის წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ ამოღების შესაძლებლობაზე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება. ფონდის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახდელებს.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, შესაბამის შემთხვევაში, კორექტირებულია გარიგების იმ დანახარჯებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

შემდგომში, ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულადი ეკვივალენტების მუხლი მოიცავს ფონდის განკარგულებაში არსებულ და ბანკის ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს. ფული აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტის გადაანგარიშება

უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ფონდის წარსადგენ ვალუტაში გადაიანგარიშება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში შემოსავლის ან ხარჯის სახით.

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6951	2.8068
ლარი/1 ევრო	3.1737	2.9306

ამჟამად საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება

ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დამფუძნებლის გადაწყვეტილებით ფონდის საქმიანობის მიზნებისთვის ყოველთვიური გადახდები, რომელიც შეადგენს დამფუძნებლის მიერ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ფარგლებში შეგროვებული ჰონორარებიდან მიზნობრივ გამოქვითვებს.

ფასს სტანდარტების შემადგენლობაში არ არსებობს სტანდარტი, რომელიც ფონდის საქმიანობის ფარგლებში სპეციალურად მისი შემოსავლების აღრიცხვისათვის იქნებოდა გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი. აღნიშნულის გათვალისწინებით ხელმძღვანელობამ იმსჯელა შემოსავლების სააღრიცხვო პოლიტიკის შესამუშავებლად გადაწყვეტილების მისაღებად. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო: ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების საჭიროება; საქმიანობის შედეგების სამართლიანად, ნეიტრალურად და წინდახედულად ასახვის აუცილებლობა; სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან; ასევე, ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემული შემოსავლების განმარტება, მისი აღიარების კრიტერიუმები და შეფასების კონცეფციები.

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების შესაბამისად ფონდი დამფუძნებლიდან მიღებულ დაფინანსებას აღრიცხავს გადავადებული დაფინანსების სახით. მიღებული დაფინანსებიდან შემოსავლად განიხილავს დაფინანსების იმ ნაწილს, რომლითაც სრულად დაიფარება ფონდის წლიური ხარჯი. შესაბამისად, ფონდის წლიური ფინანსური შედეგი ნულს უტოლდება. ხოლო, გადავადებული დაფინანსების დარჩენილი ნაშთი, რომელიც მომდევნო წელს ფონდის წესდებით განსაზღვრული საქმიანობისთვის მიზნობრივ გამოყენებას ექვემდებარება, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მოკლევადიანი ვალდებულების შემადგენლობაში. ანალოგიური მიდგომით ხდება ფონდში მიზნობრივი შემოწირულობის სახით მიღებული თანხების აღრიცხვა.

შემოსავლების აღიარებისათვის შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე ფონდს არ წარმოეშობა საკუთარი კაპიტალის (წმინდა აქტივების/ფონდების) მუხლი. ამ მოტივით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი არ მოიცავს საკუთარი კაპიტალის/ფონდის ცვლილების ანგარიშგებას.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია ფონდის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. ფონდს არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

იჯარა

ხელშეკრულების დადებისას, ფონდი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

ფონდს გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის არ აღემატება 12 თვეს. ფონდი როგორც მოიჯარე, საიჯარო ხელშეკრულებას განიხილავს მოკლევადიან იჯარად და ამ იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

მარაგები

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

საანგარიშგებო პერიოდში მოხმარებული მარაგის ღირებულება შეადგენს 1 175 ლარს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ფონდი მათგან მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან პროგრამულ ეფექტს და შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადებს, დაუბრუნებად გადასახადებსა და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. პირველადი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღიარდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.. შემდგომი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია უკვე აღიარებულ ძირითად საშუალებებთან, ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას (კაპიტალიზდება) მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი აუმჯობესებენ აქტივის თავდაპირველ ნორმატიულ მაჩვენებლებს. მიმდინარე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის) ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდში.

ცვეთა და სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით, რათა აქტივის ღირებულება თანაბრად განაწილდეს მის სასარგებლო ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის (მზადყოფნის) მომენტიდან. აქტივების ჯგუფისთვის, რომელსაც ფონდი ფლობს, განსაზღვრულია სასარგებლო მომსახურების შემდეგი ვადა:

კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა: 3 – 5 წელი

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები, ცვეთის მეთოდი და ნარჩენი ღირებულებები გადახედვას დაექვემდებარება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში გაკორექტირდება, როგორც სადარიცხვო შეფასებებში ცვლილება.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან ან ლიკვიდაციიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის) ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ფონდის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია და სასარგებლო მომსახურების ვადა. არამატერიალურ აქტივებს ერიცხებათ ამორტიზაცია მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. ტექნოლოგიური მოძვლებების სისწრაფისა და ფონდის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვებ-გვერდის სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 5 (ხუთი) წელი. ამორტიზაციის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზად არის გამოსაყენებლად (ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან). ამორტიზაციის მეთოდი, სასარგებლო მომსახურების ვადა და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება, როგორც სადარიცხვო შეფასებებში ცვლილება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას (ჩამოწერისას) მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის) ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადის ხარჯი

საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ფონდი არ წარმოადგენს მოგების გადასახადის სტანდარტულ გადამხდელს მის ძირითად (არასამეწარმეო) საქმიანობაზე. ფონდის მიერ მიღებული მიზნობრივი დაფინანსება არ იბეგრება მოგების გადასახადით, თუ ისინი გამოიყენება ფონდის საწესდებო მიზნებისა და პროექტების განსახორციელებლად.

2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული „მოგების გადასახადის რეფორმის“ (ესტონური მოდელის) მიხედვით, მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფონდი ახორციელებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ სპეციფიკურ ოპერაციებს. კერძოდ, ფონდისთვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს:

არაკომერციული საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები: ნებისმიერი ხარჯი, რომელიც არ არის დაკავშირებული ფონდის წესდებით განსაზღვრულ მიზნებთან ან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ან არ არის დასაბუთებული პირველადი საგადასახადო დოკუმენტაციით;

უფასოდ საქონლის მიწოდება / მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა: თუ აღნიშნული ქმედება არ უკავშირდება ფონდის საწესდებო მიზნების (პროექტების) განხორციელებას;

ზღვრულ ოდენობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები: ხარჯები, რომლებიც აღემატება საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ლიმიტებს.

თუ ფონდი განახორციელებს დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას, ამ საქმიანობიდან მიღებული მოგება არ

დაიბეგრება მანამ, სანამ არ მოხდება ამ მოგების ან მისი ნაწილის მიმართვა არამიზნობრივ ხარჯებზე.

3. ახალი სააღრიცხვო სტანდარტები და შესწორებები

2025 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

ა. IFRS 18 — „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტი ოფიციალურად ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია. იგი მთლიანად ანაცვლებს ძველ სტანდარტს — IAS 1-ს.

- რას გულისხმობს: მოგება-ზარალის უწყისში შემოაქვს სამი ახალი განსაზღვრული კატეგორია: საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობა (მსგავსად ფულადი ნაკადებისა).
- მიზანი: კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარების გამარტივება და მენეჯმენტის მიერ თვითნებურად შემოღებული არასტანდარტული კოეფიციენტების (მაგ. კორექტირებული EBITDA) მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა.

ბ. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ცვლილებები IFRS 9-სა და IFRS 7-ში)

ეს შესწორებები პირდაპირ გავლენას ახდენს 2025 წლის ანგარიშგებებზე და ეხება თანამედროვე ფინანსურ ტენდენციებს.

- ელექტრონული ფულადი გადარიცხვები: დაზუსტდა წესები, თუ ზუსტად როდის უნდა მოხდეს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა (derecognition), როდესაც ანგარიშსწორება ხდება ელექტრონული სისტემებით (მაგ. როცა ფული გზავნიან).
- ESG-სთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტები: შემოვიდა ახალი მოთხოვნები ისეთი სესხებისა თუ ობლიგაციების შესაფასებლად, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მიბმულია კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი ან სოციალური (ESG) მიზნების მიღწევაზე.

გ. ცვლილებები IAS 21-ში — „გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“

ეს ცვლილება პრაქტიკული ხდება იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ოპერირებენ არასტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

- რას გულისხმობს: სტანდარტი განსაზღვრავს, როგორ უნდა მოიქცეს კომპანია, როდესაც ერთი ვალუტის მეორეში გადაცვლა ოფიციალურად ან პრაქტიკულად შეუძლებელია (ანუ არ არსებობს თავისუფალი გაცვლითი კურსი).
- გადაწყვეტა: კომპანიას ევალება შეაფასოს ე.წ. „სავარაუდო სპოტ კურსი“ და დეტალურად განმარტოს შენიშვნებში, თუ რა რისკებს უქმნის ეს ფაქტი მის ფინანსურ მდგომარეობას.

დ. მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების სქემები (Supply Chain Financing / Reverse Factoring)

2025 წლის მოდელებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გამჭვირვალობის ახალ წესებს ე.წ. „უკუ ფაქტორინგის“ შესახებ.

- რას გულისხმობს: როდესაც ბანკი უხდის კომპანიის მომწოდებლებს უფრო ადრე, ხოლო კომპანია ბანკს უბრუნებს ამ თანხას მოგვიანებით. კომპანიებს ახლა მკაცრად მოეთხოვებათ აჩვენონ, ეს თანხები ჩვეულებრივი სავაჭრო ვალდებულებებია (Trade Payables) თუ საბანკო სესხი, რათა არ დაიმალოს რეალური საკრედიტო ტვირთი.

ფონდის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის რელევანტური ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებული იქნება პირველი პერიოდისთვის, რომელიც იწყება სტანდარტის ან და ცვლილების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მის შემდეგ.

4. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	სულ
1 იანვარი 2025	-	-
შემოსვლა	142	142
გადაფასება		-
გასვლა		-
31 დეკემბერი 2025	142	142
ცვეთა და გაუფასურება		
დაგროვილი ცვეთა	-	-
პერიოდის ცვეთა	(20)	(20)
გასვლა		-
31 დეკემბერი 2025	(20)	(20)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2025	-	-
31 დეკემბერი 2025	122	122

5. არამატერიალური აქტივები

	ვებგვერდი	სულ
1 იანვარი 2025	-	-
შემოსვლა	2 000	2 000
გადაფასება		-
გასვლა		-
31 დეკემბერი 2025	2 000	2 000
ამორტიზაცია და გაუფასურება		
დაგროვილი ამორტიზაცია	-	-
პერიოდის ცვეთა	(167)	(167)
გასვლა		-
31 დეკემბერი 2025	(167)	(167)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2025		
31 დეკემბერი 2025	1 833	1 833

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2025	მ.შ. რომელთა მიღება მოსალოდნელია არა უმეტეს თორმეტი თვეში
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	140	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	140	-

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2025
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	38,931
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი	38,945

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2025	მ.შ. რომელთა დაფარვა მოსალოდნელია არა უმეტეს თორმეტი თვეში
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	168	168
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	168	168

9. პროექტების დაფინანსების ხარჯი

	2025 წელი
კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	74 000
სტიპენდია	44 250
სწავლის საფასური	18 315
სულ პროექტების დაფინანსების ხარჯები	136 565

10. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი	2025 წელი
ლონისძიებებისთვის შეძენილი მომსახურების ხარჯი	352 524
ჰონორარის ხარჯი	3 294
ჰოსტინგის ხარჯი	28
საიჯარო ქირა	3 667
კომუნიკაციის ხარჯი	102
ბანკის მომსახურების საკომისიო	906
ქოფირაითერის ხარჯი	2 000
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	362 521

11. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ფონდის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში ფონდის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს ფონდის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ფონდის საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ფონდს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ფონდი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

12. ფინანსური რისკების მართვა

ფონდიში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. ფონდიზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს ფონდის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

ფონდზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

31 დეკემბერი
2025

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტი	38 945	-
სულ საკრედიტო რისკი	39 945	-

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტის შეფასებით საანგარიშგებო ინფორმაციაზე დაყრდნობით არ არსებობს ფონდზე გავლენის მომხდენი საბაზრო რისკი.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ფონდი ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს ფონდი არ იყენებს.

ფონდს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების არსებითი ნაშთი არ გააჩნია. შესაბამისად სავალუტო რისკის ფაქტორი არ არსებობს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. ფონდი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. ფონდს განზრახული აქვს და გააჩნია უნარი მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, ლიკვიდობის გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2025 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	38 945			38 945
სულ სამომავლო მისაღები თანხები,	38 945			38 945
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 098			2 098
სულ სამომავლო გადახდები	2 098			2 098
ლიკვიდობის დეფიციტი	36 847			36 847
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	36 847	36 847	36 847	36 847

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების მიზნებისათვის, დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს ფონდის დამფუძნებელი ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია. იგი წარმოადგენს ფონდის საქმიანობის დამფინანსებელს. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები შესრულებულია „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ გათვალისწინებული პირობების ეკვივალენტურად. საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები შემდეგნაირად ხასიათდება:

2025 წლის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციის შინაარსი	დაკავშირებული მხარე-დამფუძნებელი
შემოსავალი	
მიღებული დაფინანსება	634 346
ხარჯი	
ნაწარმოების გამოყენების უფლების ჰონორარი	3 294
საიჯარო ქირა	3 667

დაკავშირებულ მხარესთან 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯის ოპერაციებთან დაკავშირებით ვალდებულების ნაშთი 167 ლარს შეადგენს.

ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესახებ. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება შედგება მხოლოდ მოკლევადიანი გასამრჯელოებისაგან და მოიცავს ფონდის დირექტორის გასამრჯელოს.

	2025 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	15 306
სულ	15 306

14. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

III. სამართლებრივი და მმართველობითი სტრუქტურა

ფონდი თავის საქმიანობას ახორციელებს მმართველი ორგანოს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მეშვეობით. წესდების თანახმად, ფონდის მმართველი ორგანოა ფონდის გამგეობა.

ფონდის გამგეობა შედგება 5 წევრისაგან. გამგეობის უფლებამოსილებები, მის საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, გამგეობის წევრების არჩევის წესი, გამგეობის სხდომის მოწვევის წესი და მის კომპეტენციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები დეტალურად განსაზღვრულია ფონდის წესდების მე-6 მუხლში.

ფონდის გამგეობის წევრთა შემადგენლობა დაფუძნების დღიდან დღემდე არის შემდეგი:

- თავმჯდომარე წევრი - გიორგი მარგველაშვილი;
- წევრი - ნიკა დანელია;
- წევრი - ნიკოლოზ წულუკიძე;
- წევრი - ზვიად ზუბიაშვილი;
- წევრი - ქეთევან კვახაძე;

მესმა-კულტურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

ფონდის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია ფონდის წესდების მე-7 მუხლით, რომლის მიხედვითაც, ფონდის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორია ნინო ჯაფარიძე.

აღმასრულებელი დირექტორი თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ფონდის წესდებისა და შიდაორგანიზაციული დოკუმენტაციის საფუძველზე.

ფონდის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებას უზრუნველყოფს კეთილსინდისიერად, გამჭვირვალედ მაღალი კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით, ასევე უზრუნველყოფს ეფექტიან შიდაორგანიზაციულ მართველობას და კონტროლს.

აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის წევრ(ებ)ი არ არიან უფლებამოსილნი განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილება იმ საკითხებთან დაკავშირებით და/ან საპროექტო განაცხადებთან დაკავშირებით, რომელზედაც მათ აქვთ პირდაპირი და/ან არაპირდაპირი ინტერესი.

მესმა-კულტურის განვითარების ფონდის პროექტების განხილვის საბჭო

ფონდის ძირითადი საქმიანობის, მისი მიზნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ფონდში შექმნილია პროექტების განხილვის საბჭო (შემდგომში - „საბჭო“).

საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხების განხილვა:

- ფონდში წარდგენილი საპროექტო განაცხადების განხილვა წესში არსებული კრიტერიუმების, პრინციპების და პროცედურების შესაბამისად;
- გამგეობის მიერ დამტკიცებული „პროექტების შეფასების კრიტერიუმების“ შესაბამისად მიღებული საპროექტო განაცხადების შეფასება;
- საპროექტო განაცხადის მოწონების შემთხვევაში, საპროექტი განაცხადის გამგეობისთვის და/ან აღმასრულებელი დირექტორისთვის წარდგენა;

- პროექტის თაობაზე რეკომენდაციის/შეფასების პრიორიტეტულობის განსაზღვრის, დაფინანსების ოდენობის და სხვა საკითხების შესახებ გამგეობისთვის და/ან აღმასრულებელი დირექტორისთვის წარდგენა;

პროექტების განხილვის საბჭოს წევრების არჩევის, მისი საქმიანობის პროცედურებთან დაკავშირებული სხვა საკითხები დეტალურადაა განსაზღვრული ფონდის წესდების მე-8 მუხლში.

IV. ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება

გამგეობის და სხვა კომისიებისა და საბჭოების წევრებისათვის წლის განმავლობაში არ მომხდარა ანაზღაურების გადახდა. ამიტომ ფონდის უმაღლესი რანგისა და ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოკლევადიან გასამრჯელოს.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში აღმასრულებელი დირექტორის ანაზღაურებამ შეადგინა 15 306 ლარი. აღნიშნული თანხა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახელმწიფო გადასახადს.

V. ფინანსური ხარჯები

2025 წლის განმავლობაში ფონდმა განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა მთავარი მიზანი იყო გამოჩენილი ქართველი ხელოვანების ღვაწლის დაფასება, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა და საერთაშორისო კულტურულ სივრცეში ქართული ხელოვნების წარმოჩენა.

ფონდის მიერ 2025 წელს განხორციელებულ იქნა შემდეგი პროექტები:

1. ტრისტან სარალიძის 70 წლის იუბილე და სახელობითი სტიპენდია;

პროექტის განხორციელების თარიღი: 05.09.2025 წ.

პროექტის მიზანი: გამოჩენილი მსახიობის შემოქმედების პოპულარიზაცია და ახალგაზრდა მსახიობის მხარდაჭერა.

დაწესდა ტრისტან სარალიძის სახელობის ერთ წლიანი სტიპენდია, რომელიც გადაეცა წარჩინებულ სტუდენტებს.

2. კახი კავსაძის 90 წლის იუბილე;

პროექტის განხორციელების თარიღი: 05.09.2025 წ.

პროექტის მიზანი: დიდი ქართველი მსახიობის ღვაწლის დაფასება და მისი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

ფონდის მიერ განხორციელდა საიუბილეო საღამოს თანადაფინანსება.

3. სოფიკო ჭიაურელისა და ფრუნზიკ მიკირტიანის ხსოვნის საღამო;

პროექტის განხორციელების თარიღი: 05.09.2025 წ.

პროექტის მიზანი: ქართულ-სომხური კულტურული კავშირებისა და კინოხელოვნების პოპულარიზაცია;

ფონდის მიერ განხორციელდა აღნიშნული პროექტის თანადაფინანსება.

4. მუსიკალური სპექტაკლი „ტატო“

პროექტის განხორციელების თარიღი: 05.09.2025 წ.

პროექტის მიზანი: თანამედროვე თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მხარდაჭერა;

ფონდის მიერ განხორციელდა აღნიშნული პროექტის თანადაფინანსება.

5. მესმა-კულტურის განვითარების ფონდის პრეზენტაცია

2025 წლის 08 სექტემბერს გაიმართა ფონდის პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ფონდის მისიის, ძირითადი საქმიანობის, ფუნქციისა და მიზნების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა.

6. სტუდენტური საგრანტო პროგრამა;

პროექტის განხორციელების თარიღი: 03.10.2025 წ.

აღნიშნული საგრანტო პროგრამის ფარგლებში ფონდის მიერ გრანტი გადაეცა საქართველოში მოქმედი 4 (ოთხი) სხვადასხვა უნივერსიტეტის 17 (ჩვიდმეტი) სტუდენტს, კერძოდ:
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია - 5 სტუდენტი;
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია - 6 სტუდენტი;
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი - 3 სტუდენტი ;
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - 3 სტუდენტი.

7. მემორანდუმის გაფორმება შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
თარიღი: 18.09.2025 წ.

მიზანი: ერთობლივი საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების ორგანიზება/განვითარება.

8. ახალგაზრდა მომღერლის ირაკლი აბაშიძის სწავლის დაფინანსება იტალიაში;

პროექტის განხორციელების თარიღი: 08.10.2025 წ.

პროექტის მიზანი: ახალგაზრდა ქართველი მომღერლის საერთაშორისო პროფესიული განვითარების მხარდაჭერა.

ფონდის მიერ სრულად დაფინანსდა ერთი სასწავლო სემესტრი.

9. ლაშა გიორგი ქიტუაშვილის სწავლის დაფინანსება ჰამბურგში, გერმანია;

პროექტის განხორციელების თარიღი: 24.10.2025 წ.

პროექტის მიზანი: საერთაშორისო განათლებისა და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ფონდის მიერ სრულად დაფინანსდა ერთი სასწავლო სემესტრი.

10. ლალი სხირტაძის საბავშვო წიგნის (სახელწოდება: მეოცნებე, მხიარული, ბედნიერი ბავშვები) გამოცემა;

პროექტის განხორციელების თარიღი: 15.10.2025 წ.

პროექტის მიზანი: ქართული საბავშვო ლიტერატურისა და კითხვის კულტურის მხარდაჭერა;

ფონდის მიერ დაფინანსდა წიგნის გამოცემა.

11. დათო ევგენიძის ფონდი „თბილისის“ მუსიკალური ფესტივალი „ემიგრაცია“;

პროექტის განხორციელების თარიღი: 16.10.2025 წ.

აღნიშნული მუსიკალური ფესტივალი ჩატარდა ქართველი ემიგრანტების უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით.

ფონდის მიერ განხორციელდა ფესტივალის თანადაფინანსება.

12. ამბები დიმიტრი ყიფიანზე. ის, ვინც მთავარია;

პროექტის განხორციელების თარიღი: 20.11.2025 წ.

პროექტის მიზანი: ეროვნული ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება;

ფონდის მიერ განხორციელდა პროექტის თანადაფინანსება;

13. მემორანდუმის გაფორმება თბილისის სამხატვრო აკადემიასთან;

თარიღი: 20.11.2025 წ.

მიზანი: ახალგაზრდა მხატვრებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის მხარდაჭერა;

14. „სვანულსხური“ – დოკუმენტური ფილმი;

პროექტის განხორციელების თარიღი: 28.11.2025 წ.

პროექტის მიზანი: სვანეთის კულტურული მემკვიდრეობისა და დოკუმენტური კინოს პოპულარიზაცია.

ფონდის მიერ განხორციელდა პროექტის თანადაფინანსება.

15. ქეთევან დედოფალი – მუსიკალური ნაწარმოები

პროექტის განხორციელების თარიღი: 15.12.2025 წ.

პროექტის მიზანი: ისტორიულ-კულტურული ფასეულობების თანამედროვე ხელოვნებით წარმოჩენა.

ფონდის მიერ განხორციელდა პროექტის თანადაფინანსება.

16. ელდარ შენგელაიას ფილმის „აბდაუბდა“ გადაღების დასრულება;

პროექტის განხორციელების თარიღი: 13.12.2025 წ.

პროექტის მიზანი: ქართული კინოსა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის მხარდაჭერა.

ფილმის გადაღების დასრულების მიზნით ფონდმა განახორციელა აღნიშნული პროექტის თანადაფინანსება, ხოლო მოგვიანებით უზრუნველყო ფილმის პრეზენტაცია.

17. მარიამ ბერძენიშვილის სწავლის დაფინანსება დანიაში;

პროექტის განხორციელების თარიღი: 24.12.2025 წ.

პროექტის მიზანი: ახალგაზრდა ქართველი ხელოვანის საერთაშორისო განათლების მხარდაჭერა;

ფონდის მიერ ნაწილობრივ დაფინანსდა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი.

2025 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების შეჯამება:

🏠 დაფინანსებული სტუდენტები – 18;

👨‍👩‍👧‍👦 გაფორმებული მემორანდუმები – 2;

🌐 საერთაშორისო საგანმანათლებლო დაფინანსებები – 3;

🏛️ მხარდაჭერილი კულტურული პროექტები – 10;

🏠 პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები – 4;

ფონდის ორგანიზებით განხორციელებულ პროექტებზე გაწეული ხარჯების სტრუქტურა 2025 წლის საანგარიშო პერიოდზე შემდეგია:

პროექტის ტიპი	დაფინანსებული პროექტი	თანხ. ლარი
სოციალური	სტიპენდია	44 250
კულტურული	კულტურული ღონისძიებები	74 000
საგანმანათლებლო	სწავლის საფასური	18 315
სულ პროექტების დაფინანსების ხარჯები		136 565

გამჭვირვალობის წლიური ანგარიში გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 23 ივლისს.

ნინო ჯაფარიძე

აღმასრულებელი დირექტორი